სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 აპრილი, 2024 წ

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N 07-01/31

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული ამოცანების - ინტერნაციონალიზაციისა და პერსონალის განვითარების ხელშეწყობისათვის 2024-2025 წლებში განსახორციელებელი ღონისძიების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის N40 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს **სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024წ.),** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის №06-01/20 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს **სტრატეგიული განვითარების გეგმის (2025-2031წ.),** ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციისა ხელშეწყობისათვის 2023 წელს განსახორციელებელი ღონისძიების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 31 იანვრის N07-01/01 გადაწყვეტილების, **„ბსუ-ს 2024 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების თაობაზე" წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N07-01/61 გადაწყვეტილების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების (სამსახ. ბარათი N374333, 31.03.2024 წ.), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 03 აპრილის სხდომის N07-02/04 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით (2018-2024 წლების და **2025-2031** წლების) გათვალისწინებული ამოცანების - ინტერნაციონალიზაციის და **პერსონალის განვითარების** მიზნით 2024-2025 წლებში განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:
ა) 2024-2025 წლებში გაგრძელდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 31 იანვრის N07-01/01 გადაწყვეტილების თანახმად დაწყებული ღონისძიება ბსუ-ს პერსონალის ინგლისური ენის ფლობის დონის გაუმჯობესებისა და მათი პროფესიული განვითარებისათვის;
ბ) ბსუ-ს პერსონალისათვის (მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პირებისათვის) ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ განისაზღვროს შეღავათიანი სწავლის საფასური;

გ) ბსუ-ს დასაქმებულისათვის **დასაშვებად ჩაითვალოს** შეღავათიანი სწავლის საფასურის ნაწილ-ნაწილ გადახდა (პროგრამის გავლის პერიოდში), ხოლო საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დაექვითოს ბსუ-ში გასაცემი შრომის ანაზღაურებიდან (უცხო ენის პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების დასრულების შემდეგ);

დ) 2023 წელს შექმნილ ინგლისური ენის ჯგუფებში ჩარიცხულმა დასაქმებულებმა (მსმენელებმა), რომლებმაც არ დაასრულეს (შეწყვიტეს) სწავლა ინგლისური ენის ჯგუფში საკუთარი სურვილით (დროის უქონლობის ან სხვა მიზეზით), სრულად არ გადაუხდიათ პროგრამაზე სწავლის საფასური და დავალიანება ექვემდებარება მათი შრომის ანაზღაურებიდან დაქვითვას, **მიეცეთ შესაძლებლობა 2024-2025 წლებში გააგრძელონ სწავლა შესაბამისი დონის ჯგუფებში,** დამატებითი სწავლის საფასურის დარიცხვის გარეშე (აღნიშნული უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში 2023 წელს დარიცხული სწავლის საფასურის დაქვითვა მათი შრომის ანაზღაურებიდან განხორციელდეს 2024 წელს შექმნილ ჯგუფებში მეცადინეობის დასრულების შემდეგ);

ე) ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განისაზღვროს **შეღავათიანი სწავლის საფასური (ან უფასო სწავლება)** იმ საშტატო ერთეულზე დასაქმებულისათვის, რომლის დასაკავებლად დადგენილია (განისაზღვრა/განისაზღვრება 2024 წელს) ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან ერთ-ერთი - ინგლისური ენის შესაბამისი დონე და რომლის დასაძლევად დასაქმებულს **აქვს საჭიროება** ან წარმოექმნება (დაწინაურების ან გადაყვანის შემთხვევაში);

ვ) წინამდებარე გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შეღავათით ბსუ-ს პერსონალმა ისარგებლოს 2024-2025 წლებში, ბსუ-ს 2024 წლის ბიუჯეტით და სამომავლოდ, 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში;

ზ) ბსუ-ს რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უზრუნველყონ პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების მიმართულების მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა;

თ) ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებების შესაბამისად უზრუნველყოს ცენტრის დებულებითა და წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, და სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**